გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე

საქმე №12/24285

04 ოქტომბერი, 2024 წელი **ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს

საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგია

მოსამართლე **ლელა მარიდაშვილმა**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი პროკურორის ნათია თათიაშვილის შუამდგომლობა ყადაღის დადების თაობაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №010190724801 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2024 წლის 3 ოქტომბერს, 12:51 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა პროკურორმა ნათია თათიაშვილმა და ითხოვა, რომ 12 თვის ვადით ყადაღა დაედოს და აიკრძალოს უძრავი ქონების - ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირი N57გ-ში მდებარე სასტუმრო „ლონდონ პალას“-ის (მესაკუთრე: კახაბერ ჟორჟოლიანი, პ/ნ: 31001002113) განკარგვა.

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და აღნიშნავს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და აღნიშნავს, რომ შუამდგომლობა დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლი განსაზღვრავს ქონებაზე ყადაღის დადების მიზანს და საფუძვლებს. აღნიშნული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან

დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას. ამ ნაწილში მითითებული პირობების არსებობისას, თუ ბრალდებული თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თანამდებობის პირის ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, ყადაღის დადების, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების ან სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

ამავე მუხლის მე-3^1 ნაწილის შესაბამისად, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინებით შეიძლება ასევე ყადაღა დაედოს ქონებას, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული, ან/და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული, ამასთანავე, აღნიშნულ ქონებაზე ყადაღის დადება საჭიროა ერთი ან რამდენიმე შემდეგი მიზნის მისაღწევად: ა) ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად; ბ) განადგურებისგან ან დაზიანებისგან მის დასაცავად; გ) მისი გადამალვის, გასხვისების ან დახარჯვის აღსაკვეთად; დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე მისი შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად; ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს.

საქართველოს სსსკ-ის 152-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის 151-ე მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 ნაწილით ან იმავე მუხლის 3^1 ნაწილის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადება მის მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობას; ამ კოდექსის 151-ე მუხლის 3^1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადება მის მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონებით მხოლოდ სარგებლობას, ხოლო იმავე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ქონების მხოლოდ განკარგვას.

საქართველოს სსსკ-ის 158-ე მუხლი ადგენს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების მოქმედების ვადას, რომლის თანახმადაც, ქონებას ყადაღა ედება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე, გარდა ამ კოდექსის 151-ე მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ კოდექსის 151-ე მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქონებას ყადაღა ედება 2 ეტაპად და თითოეულ ეტაპზე ქონებაზე ყადაღის დადების ვადა 12 თვეა. ამ კოდექსის 151-ე მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ დაწყებულია „სისხლის სამართლის

სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესაბამისი პროცედურები, ქონებას ყადაღა ედება 4 ეტაპად და თითოეულ ეტაპზე ყადაღის დადების ვადა 12 თვეა.

მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობაზე დართული მასალები ასაბუთებს ყადაღის დადების აუცილებლობას. სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობს საკმარისი მონაცემები და ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან და წარმოდგენილია პროკურორის მიერ და იძლევა შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ვინაიდან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, შესაძლოა უძრავი ქონება მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით. შესაბამისად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, აუცილებელია ზემოაღნიშნული უძრავი ქონების დაყადაღება. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, პროკურორ ნათია თათიაშვილის შუამდგომლობა დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 151-ე-154-ე, 156-ე და 158-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი პროკურორის ნათია თათიაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

12 თვის ვადით (განკარგვის უფლების შეზღუდვით) ყადაღა დაედოს:

ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირი N57გ-ში მდებარე სასტუმრო „ლონდონ პალასს“ (მესაკუთრე: კახაბერ ჟორჟოლიანი, პ/ნ: 31001002113);

განჩინების შესრულების უზრუნველყოფა დაევალოთ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროს გამომძიებლებს.

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინება გადაეცეს გასაჩივრების უფლების მქონე პირს განჩინების გამოცემიდან 48 საათში.

განჩინება შეიძლება, გასაჩივრდეს პროკურორის, ბრალდებულის ან/და პირის მიერ, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება, დაირღვეს ამ განჩინების შედეგად, აგრეთვე მათი ადვოკატების მიერ განჩინების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის მომენტიდან 48 საათში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე **ლელა მარიდაშვილი**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
განჩინებაში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ

12/24285
24 ოქტომბერი, 2024 წელი **თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს
საგამომძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის

მოსამართლე - **ლელა მარიდაშვილმა**

ერთპიროვნულად განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის **12/24285** განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2024 წლის 03 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სამართლოს, შუამდგომლობით მომართა თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსმა პროკურორმა ნათია თათიაშვილმა და ითხოვა ქონებებზე ყადაღის დადება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი პროკურორის ნათია თათიაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

12 თვის ვადით (განკარგვის უფლების შეზღუდვით) ყადაღა დაედო:

ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირი N57გ-ში მდებარე სასტუმრო „ლონდონ პალასს“ (მესაკუთრე: კახაბერ ჟორჟოლიანი, პ/ნ: 31001002113);

2024 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მომართა პროკურორმა ნათია თათიაშვილმა და ითხოვა 2024 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა, შემდეგი საფუძვლით: ვინაიდან შუამდგომლობაში ადგილი ქონდა ტექნიკურ უზუსტობას და მესაკუთრედ ნაცვლად იურიდიული პირისა ,,Unique Stay Hotels" მითითებული იყო ფიზიკური პირი კახაბერ ჟორჟოლიანი, რის გამოც 2024 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საჯარო რეესტრის მიერ ვერ იქნა აღსრულებული. იმის გამო, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შეძლოს

2024 წლის 4 ოქტომბრის განჩინების აღსრულება უნდა აღმოიფხვრას ბუნდოვანება-უზუსტობა შემდეგი ფორმულირებით: 12 თვის ვადით ყადაღა დაედოს და აიკრძალოს უძრავი ქონების - ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის (ქეთევან დედოფლის) გამზირზე ბოჭორმის ქუჩა N50/18-ში მდებარე სასტუმრო „ლონდონ პალასი“-ს (მესაკუთრე: შპს ,,Unique Stay Hotels”-ს, ID ნომერი: 406092650, საკადასტრო კოდი 01.17.13.041/009)განკარგვა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ განჩინებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რაც უნდა გასწორდეს.

სასამართლომ შეისწავლა რა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ 2024 წლის 4 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის N12/24285 განჩინებაში უნდა აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობები, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას, ან შეცვლას, კერძოდ, შეიტანოს სხვა დაზუსტება.

2024 წლის 4 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის განჩინებაში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ განჩინებაში მითითებულია, რომ 12 თვის ვადით (განკარგვის უფლების შეზღუდვით) ყადაღა დაედოს: ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირი N57გ-ში მდებარე სასტუმრო „ლონდონ პალასს“ (მესაკუთრე: კახაბერ ჟორჟოლიანი, პ/ნ: 31001002113), რაც წარმოადგენს უზუსტობას და აღმოფხვრილ უნდა იქნეს და

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლით და ამავე კოდექსის 291-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გასწორდეს 2024 წლის 4 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის N12/24285 განჩინებაში არსებული უზუსტობა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

12 თვის ვადით (განკარგვის უფლების შეზღუდვით) ყადაღა დაედოს:

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე ბოჭორმის ქუჩა N50/18-ში მდებარე სასტუმრო „ლონდონ პალასს“ (მესაკუთრე: შპს ,,Unique Stay Hotels”-ს, ID ნომერი: 406092650, საკადასტრო კოდი 01.17.13.041/009);

2. დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩეს უცვლელი.

3. მოცემული განჩინება წარმოადგენს N12/24285 განჩინების განუყოფელ ნაწილს.

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე **ლელა მარიდაშვილი**